ხელშეკრულება №61

21 დეკემბერი 2016 წელი

ქ. ყვარელი

ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრი შემდგომში "შემსყიდველად" წოდებული, წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი თორნიკე მოლაშვილის სახით, ერთის მხრივ და მეორეს მხრივ ს.ს. კორპორაცია "ქინძმარაულის" გენერალური დირექტორის ნუგზარ ქსოვრელის სახით, შემდგომში „მიმწოდებლად" წოდებული, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე.

1. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის საფუძველი

1.1"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, "ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრი", ს.ს. კორპორაცია "ქინძმარაულისგან" შეიძენს სასაჩუქრე ღვინოებს. (CPV – **18500000/ 18530000**).

2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1. საქონლის მიწოდების ვადა განისაზღვროს 2016 წლის 21 დეკემბრიდან 2016 წლის 23 დეკმბრის ჩათვლით.

2.2 მისაწოდებელი საქონლის ღირებულება შეადგენს 346 (სამასორმოცდა ექვსი ლარი) ლარი.

3.. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ლარებში, „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

3.2სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყარო: ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტი 100%.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას:

4.1.1. "მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მიწოდებული საქონლის ღირებულება.

4..2. "მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:

4.2.1. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად განახორციელოს შესაბამისი საქონლის მოწოდება, უზრუნველყოს ხარისხი და დაასრულოს სამუშაო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეების („შემსყიდველისა" და „მიმწოდებლის" საამისოდ უფლებამოსილი პირების) ხელისმოწერის შემდეგ.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველ დაგვიანებული დღისთვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.1% ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1.5% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება

6.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ზოგადი დებულებები

7.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარისგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

7.2. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილი იქნეს ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

7.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგლამენტირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად და ორივე ტექსტს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემკვეთსა და/ან მენარდეს შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს წერილობით.

9. დავათა განხილვის წესი

9.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

10.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერიდან და მოქმედებს 2017 წლის 26 იანვრის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრი;

მისამართი კუდიგორის ქ. №2;

ს/კ 241580240

„მიმწოდებელი”

ს.ს კორპორაცია “ქინძმარაული”

მის: ქ. ყვარელი, ჭავჭავაძის ქ. 55

ს/კ 241557409

საბანკო რეკვიზიტები საქართველოს ბანკი.

ბანკის კოდი: **BAGAGE22**

ანგ. **№GE89BG0000000151788300**

ყვარლის კულტურის განვითარების

ცენტრის დირექტორის მოადგილის შემსრულებელი

\თ. მოლაშვილი\

გენერალური დირექტორი

/ნ.ქსოვრელი/